თბილისის სატრანსპორტო კომპანია
TBILISI TRANSPORT COMPANY

N 01/8087
14/12/2017

8087-01-2-201712141436

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
იურიდიული საქალაქო სამსახურის
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური
საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსს
ილია გელაშვილს

ბატონო ილია,

თქვენი 2017 წლის 8 დეკემბრის №10-0117342540 წერილის (კომპანიაში რეგისტრაციის №7280/01; 11.12.2017) პასუხად, წარმოგიდგენთ შემდეგი სახის ინფორმაციას:

- შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ M_3 კატეგორიის ავტობუსებში მგზავრობის საფასურის გადახდის კონტროლი ხორციელდება 2009 წლიდან.
- M_3 კატეგორიის ავტობუსებში მგზავრობის საფასურის გადაუხდელობის გამო დაჯარიმებულთა სტატისტიკა 2013-2017 წლებში:

  2013 წელი - 98,707;
  2014 წელი - 64,949;
  2015 წელი - 48,702;
  2016 წელი - 53,836;
  2017 წელი - 51,001 (30 ნოემბრის ჩათვლით).
- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბერის №20-81 დადგენილებით განსაზღვრულია შეღავათით მოსარგებლე პირები.

პატივისცემით,

მამუკა კობახიძე

გენერალური დირექტორი

ვაგზლის მოედანი #2, 0112 თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 235 77 77; ფაქსი: (995 32) 293 41 41
www.ttc.com.ge

#2 Vagzali Square, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 235 77 77; Fax: (995 32) 293 41 41
www.ttc.com.ge